განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამართლის საბაკალავრო პროგრამა

სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი

18 თებერვალი, 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი

9 მარტი, 2021

თბილისი 2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205224700
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სამართალი
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	სამართლის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სამართალი, 0421
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან მოსახლიშვილი, სამართლის დოქტორი, სს საქართველოს ენერგეტიკის ფონდის დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში, კავკასიის უნივერსიტეტისა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო მესხიშვილი, შპს აჭარა ჯგუფი", იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი. საქართველოს უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი ასოცირებული პროფესორი.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქეთევან ცხადაძე, სამართლის დოქტორი,თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	კონსტანტინე ებრალიძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი" ან „უსდ") სამართლის საბაკალავრო პროგრამა 240 კრედიტს მოიცავს. იგი შედგება სავალდებულო და არჩევითი კომპონენტებისგან. უნივერსიტეტი სამართლის საბაკალავრო პროგრამას ახორციელებს 2012 წლიდან.
სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. პროგრამა შედგება სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების (158 ECTS კრედიტი) და არჩევითი სასწავლო კურსების /კომპონენტებისაგან (42 ECTS კრედიტი). თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსებისაგან (16 ECTS). პროგრამაში გათვალისწინებულია უცხოური (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენის კომპონენტი (24 ECTS).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი ჩატარდა 2020 წლის 18 თებერვალს ინტერვიუირების პროცესი მიმდინარეობდა 10:00 სთ-დან 18.00 სთ-მდე დისტანციური ფორმატით ელექტრონული კომუნიკაციების (პროგრამა ზუმით) საშუალებით. ვიზიტი გაიმართა კონსტრუქციულ გარემოში, ადმინისტრაცია მზად იყო თანამშრომლობისათვის, რაც გამოიხატა როგორც ექსპერტების მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხების განმარტებისა და სხვადასხვა პანელზე მონაწილე პირების დასწრების უზრუნველყოფის, ასევე ექსპერტების მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენაში.

პირველ პანელში ინტერვიუ შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან. განმარტებული იქნა უნივერსიტეტის ფუნქციონირებასთან, პროგრამის შემუშავებასა და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტები.
ვიზიტის მომდევნო პანელში ინტერვიუ შედგა თვითშეფასების ჯგუფთან შეხვედრას და განმარტებული იქნა სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციისათვის მომზადების პროცესი და მასში სხვადასხვა პირთა ჩართულობა.
ვიზიტის მესამე პანელში ინტერვიუ შედგა საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელებთან და განმარტებული იქნა პროგრამასთან დაკავშირებული სხვადასხვა მნიშვნელოვანი ასპექტები.
შემდგომ შედგა შეხვედრები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან დამოუკიდებელ პანელებში. მომდევნო პანელების ფარგლებში ინტერვიუები ჩატარდა საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
სამუშაო დღის ბოლოს შედგა შეხვედრა ბიბლიოთეკის წარმომადგენელთან.
ვიზიტის მეორე დღეს ინტერვიულ შედგა დამსაქმებელთან. ამავე დღეს განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება ონლაინ რეჟიმში (საჯარო სამართლის ლაბორატორია, კრიმინალისტიკის ლაბორატორია, ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, დიპლაბი);
სამუშაო დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გაუზიარა სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესახებ ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სამართალს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და სამართლის დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობის შემოწმებისას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით და მოქმედი წესის მიხედვით პროგრამა, მისი კომპონენტები და განხორციელების პროცედურები შეფასებული იქნა შემდგენაირად:

#	სტანდარტი	შეფასება
1	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია სტანდარტთან
2	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტთან
3	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია სტანდარტთან
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტთან
5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია სტანდარტთან

- **რეკომენდაციები**

პროგრამის შეფასების შედეგად გამოვლინდა შემდეგი რეკომენდაციები:

2.3 სტანდარტთან მიმართებაში - რეკომენდირებულია სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რიგი სასწავლო კურსების სილაბუსების გადახედვა ლიტერატურის განახლებისა და ნორმატიული მასალის კონკრეტიზაციის მიზნით;
2.5 სტანდარტთან მიმართებაში - რეკომედირებულია სწავლება-სწავლის მეთოდები რიგ სასწავლო კურსებში გადაიხედოს სასწავლო კურსის მიზნისა და შედეგის გათვალისწინებით.

2.6 სტანდარტთან მიმართებაში -რეკომენდირებულია უსდ-მ დანერგოს სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების მოქნილი მექანიზმი, მოახდინოს აღნიშნული მექანიზმის სასწავლო პროცესში ინტეგრირება და აღნიშნულის შესახებ სტუდენტთა ინფორმირება.
4.1 სტანდარტთან მიმართებაში - რეკომედირებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შემადგენლობის განახლება, რომელთა კვალიფიკაციაც დადასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის ქონით;
4.2 სტანდარტთან მიმართებაში

- რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის შეფასება და ანალიზის პრაქტიკაში განხორციელება.
- გაძლიერდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულობა და მხარდაჭერა სამეცნიერო, კვლევითი, პროფესიული განვითარების პროგრამებსა და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში.

4.3 სტანდარტთან მიმართებაში - რეკომენდირებულია სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის როგორც პერსონალს, ასევე სტუდენტებს გააჩნდეთ საკანონმდებლო ბაზასთან უშუალო წვდომის შესაძლებლობა. უნივერსიტეტმა უნდა შეიძინოს „საკანონმდებლო მაცნე"- ს ის ვერსია ან ჩართოს ავტორიზებული მომხარებელების ის რაოდენობა, რაც საშუალებას მისცემს მომხმარებლებს დამოუკიდებლად და შეუფერხებლად ისარგებლონ ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ისე უნივერსიტეტის ფარგლებს გარედან.
5.1 სტანდარტთან მიმართებაში - რეკომენდირებულია შემუშავდეს აკადემიური პერსონალის შეფასების ეფექტური მექანიზმი და შესაბამისად განხორციელდეს შედეგების აანალიზი;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამის შეფასების შედეგად გამოვლინდა შემდეგი რჩევები:

1.1. სტანდარტთან მიმართებაში:

- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ასევე ასახავდეს, თუ რა წვლილი შეაქვს პროგრამას დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
- სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც ასახავს უშუალოდ პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის საკითხს და მისი განვითარების კონკრეტულ გეგმებს. ამ თვალსაზრისით, უნივერსიტეტს ექნება მკაფიო ხედვა და სტრატეგია პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე უშუალოდ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განვითარების კუთხით და უფრო ეფექტურად მოახდენს შესაბამისი აქტივობების განხორციელებას ჩამოყალიბებული სტრატეგიისა და დაგეგმილი ეტაპების შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

2.4 სტანდარტთან მიმართებაში - სასურველი იქნება დამსაქმებლებთან ისეთი მემორანდუმების და შეთანმხებების გაფორმება/განახლება, რომელიც გაითვალისწინებს

სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას, მიმართულებებსა და დასაქმების სავარაუდო ხანგძლივობას.

2.6 სტანდარტთან მიმართებაში - სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურად გაიწეროს შეფასების ზუსტი და მკაფიო კრიტერიუმები ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

3.1 სტანდარტთან მიმართებაში -სასურველია სტუდენტებს ელექტრონულად ჰქონდეთ წვდომა ლიტერატურასა და ნორმატიულ მასალებზე;

4.4 სტანდარტთან მიმართებაში -სასურველია უშუალოდ პროგრამისთვის გამოყოფილი რესურსის გაზრდა საერთაშორისო მივლინების, სტუდენტთა გაცვლითი პროგრამაში მონაწილეობის დაფინანსების, ღონისძიებების დაფინანსების ნაწილში.

5.1 სტანდარტთან მიმართებაში -სასურველია პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოიყენება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა;

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლისა და დიპლომატიის ფაკულტეტი, რომელიც აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ივ.ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალის იურიდიული ფაკულტეტის უფლებამონაცვლეა, საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ანიჭებდა იურისტის კვალიფიკაციას „სამართალმცოდნეობის“

სპეციალობით, მოქმედებს 1979 წლიდან. საქართველოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული რეფორმების შესაბამისად, 2005 წლიდან ხორციელდება სამართლის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა. მოქმედმა პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 2012 წლის 11 დეკემბერს (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #768, 2012.11.12). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უნივერსიტეტს გააჩნია განსაკუთრებული - ეთნიკური, მენტალური და სოციოკულტურული ფასეულობების შემაკავშირებელი ფუნქცია - ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის უკანასკნელ ათწლეულებში გაჩენილი მენტალური გაუცხოების აღმოფხვრისა და აფხაზეთში ქართულ-აფხაზური ისტორიული თანაცხოვრების აღდგენის პროცესის ხელის შეწყობა. ეს განსაკუთრებული მისია, რომელიც უპირატესობასთან ერთად, საგანგებო და ისტორიული პასუხისმგებლობაცაა, აჩენს შესაძლებლობას, რომ უნივერსიტეტი, საგანმანათლებლო კერასთან ერთად, იქცეს კონფლიქტების კვლევის რეგიონულ ცენტრად (იხ. უნივერსიტეტის მისია „ცოდნა-აღმაშენებელი“). აღნიშნული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ უნივერსიტეტის მისიას წარმოადგენს კაცობრიობის მთავარი ღირებულებების - განათლების მიღებისა და გავრცელების, უახლეს სამეცნიერო იდეებზე დაფუძნებული, მსოფლიოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საუნივერსიტეტო განათლების მქონე სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურის სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც ექნებათ მაღალ ზნეობრივი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გლობალურ საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის.

უნივერსიტეტის ახალი სტრატეგიული გეგმის ფარგლებში განისაზღვრა ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები: სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება; ინტერნაციონალიზაცია და კავშირების გაფართოება; სტუდენტური სერვისების გაუმჯობესება; მენეჯმენტის გაუმჯობესება; ფინანსური და მატერიალური უზრუნველყოფა. ჩამოყალიბდა განვითარების ის ძირითადი პრიორიტეტები, რომლებიც უნივერსიტეტს საშუალებას მისცემს გახდეს უახლეს სამეცნიერო იდეებზე დაფუძნებულ, მსოფლიოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის უნივერსიტეტად.

წარმოდგენილი ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტიდან ირკვევა, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ორიენტირებულია მოახდინოს საერთაშორისო და კულტურათაშორისი განზომილების ინტეგრაცია უნივერსიტეტის სასწავლო და კვლევით საქმიანობაში, ჩართოს საერთაშორისო ასპექტი უნივერსიტეტის მართვის ყველა კომპონენტში სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების მიზნითა და საჭირო კომპეტენციების მისაღწევად, გახდეს რეიტინგული სტუდენტებისა და დამსაქმებლისთვის საქართველოში და მიმზიდველი უცხოელი მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისთვის, რომელთა მისაღწევადაც უსდ-ს განსაზღვრული აქვს სტრატეგიული მიზნები: საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში პოზიციების განმტკიცება; საერთაშორისო ასპარეზზე უნივერსიტეტის ცნობადობის გაზრდა; საგანმანათლებლო პროცესში საერთაშორისო განზომილების დანერგვა და უნივერსიტეტში საერთაშორისო ატმოსფეროს შექმნა; საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების გაზრდა; ხელშეწყობა ერთობლივი საგანმანათლებლო და გაცვლითი პროგრამების შექმნასა და განვითარებაში; საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის მაჩვენებლების გაზრდა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ პროგრამას გააჩნია დეტალურად განსაზღვრული და ჩამოყალიბებული, მიღწევადი მიზნები. პროგრამა ორიენტირებულია, რომ მისი კურსდამთავრებულები იყვნენ კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური პროფესიონალები სამართლის სფეროში; შეიტანონ წვლილი პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის, ასევე დარგის განვითარებაში, რამდენადაც პროგრამის მიზანია:

- მისცეს ფართო ცოდნა სამართლის მნიშვნელობის, სისტემის, ძირითადი პრინციპების, მეთოდების, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიული წყაროების, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის განვითარების ეტაპების და რომის სამართლის საფუძვლებზე. სიღრმისეული ცოდნა საჯარო (შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო), კერძო და სისხლის სამართალში პრინციპების, თეორიების და ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმებზე.
- გამოუმუშაოს საჯარო (შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო), კერძო და სისხლის სამართალის სფეროში არსებული რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების ამოცნობის, ანალიზის და არსებული ან უახლესი მეთოდების გამოყენებით პრობლემის გადაწყვეტის შესაბამისი გზების შემუშავების და გაკეთებული დასკვნების და დასაბუთების იურიდიული ტერმინოლოგიის დაცვით გადმოცემის უნარი.
- გამოუმუშაოს სამართლის წყაროების, ნორმების, მეთოდების, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, შეფასების, სამართლებრივ დავაში პოზიციის დასაბუთების, კონკრეტული იურიდიული მოქმედების განხორციელების ან სხვა დასახული იურიდიული ამოცანის გადაწყვეტის უნარი.
- გამოუმუშაოს საჯარო (შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო), კერძო და სისხლის სამართლის სფეროში სამოქალაქო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, სამართალშეფარდებითი აქტების, ადმინისტრაციული აქტების, სხვა სამართლებრივი აქტების და საპროცესო დოკუმენტების პროექტების შემუშავების, დავის გადაწყვეტის კანონიერი საშუალებების და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით დავის გადაწყვეტის სტრტეგია და ტაქტიკის უნარი.
- გამოუმუშაოს საჯარო (შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო), კერძო და სისხლის სამართლის სფეროში წინასწარ განსაზღრული მითითებების შესაბამისად კვლევითი ან/და პრაქტიკული ხასიათის პროექტების შემუშავების უნარი.
- გამოუმუშაოს საჭირო ინფორმაციის მოძიების და გამორჩევის უნარი, მათ შორის საერთაშორისო და ეროვნული სამართლის წყაროების, საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, სამეცნიერო სიახლეების, ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემების და სამართლებრივი საინფორმაციო ბაზების მეშვეობით ქართულ და უცხო ენაზე, გამოავლინოს მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის პრინციპის შესაბამისად საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარი.
- გამოუმუშაოს იურისტის ეთიკური სტანდარტების, პროფესიული ქცევის ნორმების, ადამიანის უფლებების პატივისცემის ფარგლებში მოქმედებისა და სამართალწარმოების პროცესში სამართლებრივი ღირებულების გათვალისწინებით მოქმედების უნარი.

ინტერვიუებიდან და დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ პროგრამის მიზანი ეყრდნობა შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ითვალისწინებს პრაქტიკის თანამედროვე ტენდენციებს, საერთაშორისო და ადგილობრივი სამართლებრივი პროცესების გამოწვევებს, რაც უზრუნველყოფილ იქნა პროგრამის შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების

ჩართულობითა და მათი შეფასებების, მოთხოვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით. განხორციელდა სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის შესწავლა პროგრამის დარგისა და ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, რაც გათვალისწინებულ იქნა პროგრამის განახლების პროცესში.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიზნები სრულ თანხვედრაშია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნებთან, მის მისიასთან და იმ განსაკუთრებულ ფუნქციასთან, რაც სოხუმის სახლმწიფო უნივერსიტეტის, როგორც განსხვავებული მდგომარეობის მქონე სასწავლო დაწესებულების წინაშე დგას. პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ პროგრამის უმეტესი საგანმანათლებლო კურსის შინაარსი აგებულია იმდაგვარად, რომ სტუდენტს გაუღვივოს შემდგომი სწავლისა და კვლევის ინტერესი და მისცეს საშუალება მომავალში მოახდინოს ზეგავლენა ადგილობრივი სამართლის დახვეწის პროცესზე.

სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ასევე ასახავდეს, თუ რა წვლილი შეაქვს პროგრამას დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

ამასთან, სამართლის საბაკალავრო პროგრამით შემოთავაზებული სპეციალობის სავალდებულო კურსები, სპეციალობის არჩევითი კურსები, უცხო ენის სავალდებულო, მათ შორის მიზნობრივი უცხო ენა, სამართლებრივი დოკუმენტების შედგენა უცხო ენაზე, თავისუფალი კურსები და პრაქტიკული კურსები შესაძლებლობას აძლევს კურსდამთავრებულს იყოს კონკურენტუნარიანი შრომის ბაზარზე, ადვილად გაიკაფოს გზა როგორც პრაქტიკული საქმიანობის ისე სამეცნიერო მიმართულებით. სამართლის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში აქტიურადაა ჩართული, მაღალკვალიფიციური კადრები, როგორც აკადემიური, ისე მოწვეული და პრაქტიკოსი იურისტები. მათი გამოცდილება და ცოდნა ეხმარება სტუდენტს მიიღოს ინფორმაცია პროფესიაში მიმდინარე სამართლებრივი სიახლეების თაობაზე, პირველწყაროდან გაიგოს ახალი სამართლებრივი საკითხების, მნივნელოვანი განმარტებებისა თუ დამკვიდრებული სამართლებრივი პრაქტკის შესახებ, ასევე სამართლებრივი პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ.

ინტერნაციონალიზაციის განხორციელების საქმეში წამყვანი სტრუქტურული ერთეულია უნივერსიტეტში მოქმედი საერთაშორისო ურთიერთობებისა და კულტურათაშორისი კავშირების სამსახური. უნივერსიტეტის მიზანია მოამზადოს საერთაშორისო დონის სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ საქმიანობას გლობალური ბაზრის პირობებში. თუმცა, როგორც უნივერსიტეტის წარმომადგენლები აღნიშნავენ, ობიექტური მიზეზების გამო, ჯერჯერობით რთულია საგანმანათლებლო მომსახურების საერთაშორისო ბაზარზე ლიდერი ქვეყნების დონეზე მონაწილეობა. სწორედ ამიტომ სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლების მობილობას და, ზოგადად, ინტერნაციონალიზაციას ენიჭება განსაკუთრებული ყურადღება, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის პრესტიჟის ამაღლებას და კონკურენტუნარიანობის გაზრდას.

თუმცა, სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც ასახავს უშუალოდ პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის საკითხს და მისი განვითარების კონკრეტულ გეგმებს და ამ თვალსაზრისით უფრო აქტიურად იმოქმედოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის განვითარებაზე.

ხორციელდება პროგრამის მონიტორინგი მისი მოქნილობისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტაციის მიზნით. პროგრამის გაუმჯობესებისთვის ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები, რომელიც საშუალებას იძლევა გაიზომოს ყველა შედეგი როგორც მთლიანობაში, ისე პროგრამის განხორციელებისას თითოეულ კომპონენტზე პერიოდულად. უნივერსიტეტის მიზანი საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. ასევე საჯაროდ ხელმისაწვდომია უსდ-ს ძირითადი და სასწავლო პროცესის შიდა მარეგულირებელი სხვადასხვა რელევანტური დოკუმენტი, მათ შორის მისია, უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა, უნუვერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, უნივერსიტეტის წესდება და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საბაკალავრო პროგრამა;
- უნივერსიტეტის მისია;
- უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა;
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა;
- საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- ფაკულტეტის დებულება;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- გამოკითხვის შედეგები;
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ასევე ასახავდეს, თუ რა წვლილი შეაქვს პროგრამას დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
- სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც ასახავს უშუალოდ პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის საკითხს და მისი განვითარების კონკრეტულ გეგმებს. ამ თვალსაზრისით, უნივერსიტეტს ექნება მკაფიო ხედვა და სტრატეგია პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე უშუალოდ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განვითარების კუთხით და უფრო ეფექტურად მოახდენს შესაბამისი აქტივობების განხორციელებას ჩამოყალიბებული სტრატეგიისა და დაგეგმილი ეტაპების შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ <u>**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**</u> ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ორგანიზებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და აღწერს იმ ცოდნას და უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის გავლის შემთხვევაში, რამდენადაც ცოდნის თვალსაზრისით კურსდამთავრებულს შეეძლება აღწეროს სამართლის არსი, მნიშვნელობა, ძირითადი პრინციპები, სამართლის რეგულირების სფერო, სამართლებრივ ურთიერთობების სახეები, დარგები და მასში მონაწილე სუბიექტების უფლება-მოვალეობები, სამართლის ნორმა, მისი სახეები და ნორმის შეფარდების სტადიები, სამართლის ნორმის ახსნა-განმატრების მეთოდები. სამართლის სისტემა საქართველოში, მისი ინსტიტუტები და მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები როგორც სახელმწიფო მოწყობის პრინციპების, ასევე კერძო, საერთაშორისო საჯარო თუ სისხლის მიმართულებით. არსებული პროგრამის დასრულების შემდგომ, კურსდამთავრებული უნარების კომპეტენციის კუთხით, ამოიცნობს საჯარო (შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო), კერძო და სისხლის სამართალის სფეროში არსებულ რთულ და გაუთვალისწინებელ პრობლემებს, არსებული ან უახლესი მეთოდების გამოყენებით, მსჯელობს პრობლემის გადაწყვეტის შესაბამის გზების შესახებ ზეპირი და წერითი ფორმით, შეიმუშავებს დასკვნებს, გადმოსცემს და ასაბუთებს იურიდიული ტერმინოლოგიის დაცვით. აანალიზებს სამართლის წყაროების, ნორმების, მეთოდების, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, შეფასების, სამართლებრივ დავაში პოზიციის დასაბუთების, კონკრეტული იურიდიული მოქმედების	

განხორციელების ან სხვა დასხული იურიდიული ამოცანის გადაწყვეტის მიზნით. შეიმუშავებს საჯარო (შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო), კერძო და სისხლის სამართალის სფეროში სამოქალაქო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, სამართალშეფარდებითი, ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების, საპროცესო დოკუმენტების პროექტებს, ასევე სხვა სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტებს, დავის გადაწყვეტის კანონიერი საშუალებების და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით დავის გადაწყვეტის სტრტეგიასა და ტაქტიკას. რაც შეეხება პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, კურსდამთავრებული მოიძიებს და გამოარჩევს საჭირო ინფორმაციას, მათ შორის საერთაშორისო და ეროვნული სამართლის წყაროებს, საკანონმდებლო ცვლილებებს, სასამართლო პრაქტიკას, სამეცნიერო სიახლეებს, ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემების, სამართლებრივი საინფორმაციო ბაზების მეშვეობით ქართულ და უცხო ენაზე, ავლენს სწავლის პრინციპის დაცვით საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარს. იცნობს იურისტის ეთიკური სტანდარტების საჭიროებას, მოქმედებს პროფესიული ქცევის ნორმების, ადამიანის უფლებების პატივისცემის ფარგლებში, მონაწილეობს სამართალწარმოების პროცესში სამართლებრივი ღირებულების გათვალისწინებით.

ბაკალავრის მომზადება ხორციელდება პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებაზე ორიენტირებული სავალდებულო და არჩევითი კომპონენტებით. სასწავლო კურსები, (ცალკეულ შემთხვევებში, პრაქტიკული კომპონენტი თეორიული კომპონენტის შემადგენელი ნაწილია, სხვადასხვა დარგში პრაქტიკული კურსები პრაქტიკული პროფილითაა აგებული) სამართლის საბაკალავრო პროგრამის თითოეული კომპონენტი, ერთობლიობაში მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის შესაბამისად, კურსდამთავრებულს აღჭურავს სათანადო კომპეტენციით. პროგრამის კომპონენტების შინაარსი უზრუნველყოფს კონკრეტული ცოდნის შეძენას, უნარ-ჩვევების გამომუშავებას, ღირებულებების ჩამოყალიბებას, მათი ერთობლიობა პირდაპირპროპორციულია პროგრამის დასრულების შემდეგ მისანიჭებელ აკადემიურ ხარისხთან. პროგრამის ყველა კომპონენტის მიხედვით, ბაკალავრის მიღწევების ერთობლიობა უზრუნველყოფს, სამართლის საბაკალავრო პროგრამის სწავლის დასრულებისას, მისანიჭებელი სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის და კვალიფიკაციის დონის შესაბამისობას ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან და სამართლის დარგობრივ მახასიათებლებთან. კურსდამთავრებულებს მიღებული ცოდნის საფუძველზე ეძლევათ შესაძლებლობა სწავლა გააგრძელონ სწავლების შემდგომ საფეხურზე - მაგისტრატურაში. წარმოდგენილი დოკუმენტიდან (იხ. სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში) ირკვევა, რომ კურსდამთავრებულთა დაახლოებით 30% აგრძელებს სწავლას მაგისტრსტურაში, ხოლო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები ძირითადად ირჩევენ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამას.

უნივერსიტეტში შექმნილია სტუდენტთა პრაქტიკისა და კარიერის მართვის სამსახური, რომელიც კურსდამთავრებულებს აწვდის ინფორმაციას, როგორც პარტნიორ ორგანიზაციებში, ისე ბაზარზე არსებულ სხვა ორგანიზაციებში არსებული ვაკანსიების შესახებ და უწევს დახმარებას წარსადგენი დოკუმენტაციის სწორად მომზადებაში. აღნიშნულის შესახებ, ასევე აღინიშნა ინტერვიუს პერიოდში. პროგრამის სასწავლო კურსიდან გამომდინარე, სწავლის შედეგები დაფუძნებულია პრაქტიკაზე ორიენტირებულ სწავლებაზე და პროგრამის მიზნები და შედეგები თანხვედრაშია შრომითი ბაზრის მოთხოვნებთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ირკვევა, რომ პროგრამა განვითარების ყველა ეტაპზე მუდმივად განიცდიდა ტექნიკური თუ შინაარსობრივი ხასიათის მოდიფიცირებებს პროგრამის დახვეწისა და დასახული მიზნების მიღწევის თვალსაზრისით. პროგრამის გაუმჯობესების პროცესში მუდმივად იყვნენ ჩართულნი

აკადემიური წრის წარმომადგენლები, ყველა ის დაინტერესებული პირი, რომელთაც სხვადასხვა სიბრტყეში შეხება ჰქონდათ სასწავლო თუ კვლევით პროცესთან. აკრედიტაციის ვიზიტმა დაადასტურა პროგრამის პერსონალის (განსაკუთრებით აკადემიური პერსონალის) ჩართულობა პროგრამის ფორმირების, კორექტირების, თუ რევიზიის სტადიებზე (თვითშეფასების ჯგუფის სხდომის ოქმები #1,2,3,4; დარგობრივი მიმართულებების სხდომის ოქმები).

უსდ-ს შემუშავებული აქვს საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (იხ. სამართლის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში), რომლის მიხედვითაც სამართლის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები მნიშვნელოვანი რგოლია პროგრამის შეფასების და მისი შემდგომი განვითარე-ბა/მოდიფიცირებისთვის, რაც გულისხმობს:

- პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობრივ მაჩვენებლებს;
- პროგრამის კურსდამთავრებულთა თვისებრივ მაჩვენებლებს;
- პროგრამის კურსდამთავრებულთა მაჩვენებელს განათლების შემდგომ საფეხურებზე, მაგისტრატურაში ანალოგიური სპეციალობით სწავლის გაგრძელებას იმავე ან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელს მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისად.

ყოველწლიურად პროგრამის დასრულების შემდეგ შესაძლებელია პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლების დადგენა, ასევე პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების პერიოდული ანალიზი (განათლების შემდეგ საფეხურებზე ანალოგიური სპეციალობით სწავლის გაგრძელება). პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას ერთობლივად ახდენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმღვანელები და სტუდენტთა პრაქტიკისა და კარიერიერის მართვის სამსახური.

კურსდამთავრებულთა თვისებრივი მაჩვენებლების შეფასება გულისხმობს კურსდამთავრებულთა მაღალი, საშუალო ან დაბალი აკადემიური მოსწრების მაჩვენებელს და მიღებულ საბოლოო შეფასებას (51-100 ქულამდე- A,B,C,D,E), კვალიფიკაციის მინიჭების დროს ე.წ. GPA-ს, გაცემულ წარჩინებით და ჩვეულებრივი დიპლომების რაოდენობას.

კურსდამთავრებულთა შეფასების რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ის ზოგადად აკმაყოფილებს კრედიტების ტრანსფერებისა და დაგროვების ევროპულ სისტემაში არსებულ რანჟირების სკალას, რომელიც ემთხვევა გაუსის ნორმალურ განაწილების სისტემას. კურსდამთავრებულთა ძირითადი რაოდენობა მოთავსებულია საშუალო მაჩვენებლებში. გამომდინარე აქედან იგი შეიძლება ჩაითვალოს „საკმარისად“, რამდენადაც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 379 კურსდამთავრებულიდან:

- წარჩინების დიპლომით - დაამთავრა 34-მა. 9%
- ძალიან კარგი-დაამთავრა 59-მა 16%
- კარგზე-დაამთავრა 85-მა 22%
- დამაკმაყოფილებელი-დაამთავრა 114-მა 30%
- საკმარისი-დაამთავრა 87-მა. 23%

სამართლის საბაკალავრო პროგრამას გააჩნია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი, რითაც განსაზღვრავს სტუდენტის სწავლის შედეგებს პროგრამის დასრულებისას. წარმოდგენილი დოკუმენტის (სამართლის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში) მიხედვით, არსებობს პროგრამის შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. პროგრამაში პირდაპირი შეფასების მეთოდებია: დამამთავრებელ ეტაპზე, ბოლო სემესტრში, პრაქტიკულ კურსებში დადებითი შეფასების მიღება, აკადემიური მოსწრების საშუალო არითმეტიკულის მაჩვენებელი (ე.წ. GPA), ჩვეულებრივი ან წარჩინებით დიპლომის გაცემა, სტუდენტის პორტფოლიო და სხვა. არაპირდაპირი შეფასების მეთოდებია: დამსაქმებლების გამოკითხვა, კურსდამთავრებულების გამოკითხვა,

კურიკულუმის ანალიზი და სხვ. წარმოდგენილ დოკუმენტში (სასწავლო კურსების სწავლის შედეგების და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, იხ. საბაკალავრო პროგრამა, დანართი #3) ასახულია, თუ სად თავსდება თითოელი პროგრამის სწავლის შედეგი: A = გაცნობა; B = გაღრმავება; C = განმტკიცება. ვიზიტისას უსდ-ს წარმომადგენელთა მხრიდან ხაზი გაესვა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს პროგრამის შინაარსის, სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირებას, რომლის შემდეგაც ფორმდება სწავლის შედეგების შეფასების შედეგად პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანგარიში, თუ რა პროგრესს მიაღწია პროგრამამ ან/და პირიქით. ცვლილებების ანგარიშს განიხილავს შესაბამისი კურიკულუმის განვითარების დარგობრივი კომისია, ფორმდება შესაბამისი ოქმები მტკიცებულებების სახით, სადაც გათვალისწინებული იქნება სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები. (იხ.დარგობრივი მიმართულებების სხდომის ოქმები). ინტერვიუებიდან დადგინდა, რომ შეფასებები ხორციელდება ყოველი სემესტრის დასრულების შემდგომ. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა. პროგრამის შედეგების შეფასების შესახებ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს იმის შესახებ თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს. ინტერვიუებიდან ასევე გამოირკვა, რომ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს და მონიტორინგის და გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით კოორდინატორებისა და დეკანის მიერ ხორციელდება კომუნიკაცია შესაბამისი რეაგირებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • საბაკალავრო პროგრამა; • საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; • საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები; • ფაკულტეტის დებულება; • შრომის ბაზრის კვლევა; • პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; • სამართლის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში; • გამოკითხვის შედეგები; • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; • სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები; • პროგრამის შეფასების შიდა ექსპერტის დასკვნა; • სამართლის საბაკალავრო პროგრამის შემუშავების მოდიფიცირების და განვითარების მიზნით დარგობრივი კომისიების სხდომის ოქმები. • აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო პროგრამის თანახმად, პროგრამაზე დაშვების წინაპრობად განსაზღვრულია საქართველოს მოქალაქეებისათვის სრული ზოგადი განათლების ატესტატის, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატის არსებობა და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შედეგები. უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საგნების, პრიორიტეტებისა და მათი შესაბამისი კოეფიციენტების გათვალისწინებით, სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე სავალდებულო საგნებად განსაზღვრულია: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული), ისტორია ან მათემატიკა. ასევე პროგრამით გათვალისწინებულია ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების ჩარიცხვის შესაძლებლობა მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვება მობილობით-სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული წესისა და უნივერსიტეტში არსებული შიდა რეგულაციების შესაბამისად. დაწესებულებას პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, გარდა პროგრამისა, განსაზღვრულია ასევე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს № 05/01-172, 5.08.2014 დადგენილებაში, რომელიც განსაზღვრავს ,,სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს”. პროგრამაზე მიღების წინაპირობების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტისა და სამართლისა და დიპლომატიის ფაკულტეტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის. შესაბამისად, უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამართლის საბაკალავრო პროგრამა • თვითშეფასება • უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი • ფაკულტეტის ვებ-გვერდი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული N05/01-541 (08.08.2019) დადგენილება განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიას, სადაც განსაზღვრულია პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები. კერძოდ, პროგრამის წარმოდგენისა და დამტკიცების პროცედურა, პროგრამის ხელმძღვანელისა და ხელმძღვანელების უფლებამოსილება, პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესები. საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, საბაკალავრო პროგრამას, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი. შესაბამისად, წარმოდგენილ პროგრამას ხელმძღვანელობს 4 ხელმძღვანელი შესაბამისი სამართლის სხვადასხვა მიმართულების გათვალისწინებით. დადგენილი წესის თანახმად, პროგრამის შემუშავების პროცესში დაინტერესებული პირების ჩართულობასა და პროგრამის დამტკიცებამდე ყველა პროცედურის შესრულებაზე პასუხისმგებელია პროგრამის ხელმძღვანელი. ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, შემუშავებულ პროგრამას განიხილავს შესაბამისი პროფილის მქონე აკადემიური პერსონალის სხდომაზე და შეჯერებული ვარიანტი გადაეცემა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს განსახილველად. დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამა განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის საბჭოს, რომელიც თავის მხრივ დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიური

საბჭოს.
სააკრედიტაციო ვიზიტის განხორციელებისას გაანალიზებული იქნა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის ეფექტურობა. შესაბამისად, შეფასდა პროგრამის შემუშავების პროცესში წარმოებული დოკუმენტაცია და შეფასებული იქნა მათი შესაბამისობა ზემოთ აღნიშნულ პროცედურასთან. ინტერვიუების შედეგად გადამოწმებული იქნა მოქმედი მარეგულირებელი აქტისადმი ყველა დაინტერესებული პირების ხელმისაწვდომობა და ცნობადობა. პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი).
პროგრამის სტრუქტურული და შინაარსობრივი ელემენტები მთლიანობაში შეესაბამება წარმოდგენილი მარეგულირებელი აქტის პირობებსა და მოთხოვნებს. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსი არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული. გათვალისწინებულია შემდგომ სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები, რომელიც არის ადეკვატური და მოცემულია სილაბუსებში.
სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული 240 კრედიტიდან უცხო ენების კომპონენტს ეთმობა 24 კრედიტი. უცხო ენები (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული) ისწავლება სამი სასწავლო სემესტრის განმავლობაში და მათ ეთმობა 18 კრედიტი, მე-4 სემესტრში ისწავლება მიზნობრივი უცხო ენა - სამართალი (3 კრედიტი), ხოლო მე-5 სემესტრში ისწავლება სამართლებრივი დოკუმენტების შედგენა უცხო ენაზე (3 კრედიტი), კურსებზე დაშვების წინაპირობები გათვალისწინებულია და თანმიმდევრულია. მე-6 - მე-8 სემესტრებში სტუდენტებს შეთავაზებული აქვთ საერთაშორისო სამართლის არჩევითი კურსებიდან საგნები ინგლისურ ენაზე. უცხოენოვანი კომპონენტი ხელს უწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პროცესს, სტუდენტებს გამოუმუშავდებათ უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარი და ეძლევათ შესაძლებლობა ჩართული იყვნენ გაცვლით პროგრამებში, მოიძიონ უცხოენოვანი წყაროები ელექტრონული საბიბლიოთეკო და სამართლებრივი საინფორმაციო სისტემების და სხვა მონაცემთა ბაზების მეშვეობით.
პროგრამა ითვალისწინებს სპეციალობის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს, რომელსაც ეთმობა 200 კრედიტი, აქედან სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების მოცულობა 158 კრედიტია, სამართლის საფუძვლების და მეთოდებს (საბაზისო) სავალდებულო სასწავლო კურსებისა და იურისტის პროფესიის საერთო საფუძველს 19 კრედიტი ეთმობა, საჯარო სამართლის სავალდებულო სასწავლო კურსებს 33 კრედიტი, საერთაშორისო სამართლის სფეროში სავალდებულო სასწავლო კურსებს 14 კრედიტი, სისხლის სამართლის სავალდებულო სასწავლო კურსებს 31 კრედიტი, ხოლო კერძო სამართლის სავალდებულო სასწავლო კურსებს 61 კრედიტი. პროგრამის თანახმად, არჩევითი კურსების კონცენტრაციით სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა გაიღრმავოს ცოდნა.
პროგრამის სტრუქტურული ნაწილი, სასწავლო გეგმა ითვალისწინებს თითოეული სასწავლო კომპონენტის მიმართ მასზე დაშვების წინაპირობას, ასევე სასწავლო კომპონენტების სილაბუსები შეიცავენ ინფორმაციას წინაპირობების შესახებ. სასწავლო კურსების შინაარსიდან ირკვევა, პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტები არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული, რაც უზრუნველყოფს შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობების ადეკვატურობას. მთლიანობაში, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სავალდებულო და არჩევითი კომპონენტები, მათი მოცულობა, თანმიმდევრობა, შეესაბამება სწავლების საბაკალავრო საფეხურს, შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია დამტკიცებულია აკადემიური საბჭოსმიერ. (დადგენილება No05/01-384, 22.02.2018) ▪ საბაკალავრო პროგრამა ▪ სილაბუსები ▪ თვითშეფასება ▪ თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის ოქმები ▪ გამოკითხვების შედეგები ▪ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან - სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი პროგრამის სასწავლო გეგმის და სასწავლო კურსების კურიკულუმის რუკის, რომელიც წარმოაჩენს თითოეული სასწავლო კომპონენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგებთან თანხვედრას, შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სწავლის შედეგები აკმაყოფილებს ბაკალავრიატის საფეხურისთვის კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს, პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ერთობლიობა კი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსებში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული კურსის მიზანი, მიზნის შესაბამისად განსაზღვრულია საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები. სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგს. სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი დრო) უზრუნველყოფს შესაბამისი სასწავლო კურსისათვის განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული საგნის დატვირთვა გამოიხატება კრედიტების სისტემაში (1 (ECTS) კრედიტი უდრის 25 ასტრონომიულ საათს, რაც მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე, დამოუკიდებელ სამუშაო დროს), ხოლო კრედიტების რაოდენობა თითოეული სასწავლო კურსის შემთხვევაში განსაზღვრულია ამ კონკერტული საგნის სპეციფიკის, მოცულობისა და მისი შესწავლისათვის აუცილებელი დროის გათვალისწინებით.

სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურად არის წარმოდგენილი ინფორმაცია შინაარსის, კრედიტების მოცულობის (მათ შორის სტუდენტის სააუდიტორიო და დამოუკიდებელი მუშაობის დროის მითითებით), მიზნების, ცოდნის შეფასების, სწავლის შედეგების და ლიტერატურის შესახებ. კომპონენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგებთან თანხვედრას. სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი დრო) უზრუნველყოფს შესაბამისი სასწავლო კურსისათვის განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული საგნის დატვირთვა გამოიხატება კრედიტების სისტემაში 1 (ECTS) კრედიტი უდრის 25 ასტრონომიულ საათს, რაც მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე, დამოუკიდებელ სამუშაო დროს), ხოლო კრედიტების რაოდენობა თითოეული სასწავლო კურსის შემთხვევაში განსაზღვრულია ამ კონკერტული საგნის სპეციფიკის, მოცულობისა და მისი შესწავლისათვის აუცილებელი დროის გათვალისწინებით (მაგ: 3, 4, 5, 6 კრედიტი).

თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებულია სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა და მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უმრავლეს შემთხვევაში ლიტერატურა უახლესია, ხოლო რიგ შემთხვევებში საჭიროებს განახლებას. მაგ: სამოხელეო სამართალი. ზოგიერთ სილაბუსში არ არის მითითებული ნორმატიული მასალა, რაც უნდა გამოსწორდეს. მაგალითად, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I და ნაწილი II. მთლიანობაში სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს, დარგის აქტუალურ მიღწევებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- სასწავლო კურსის სილაბუსები
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

▪ რეკომენდირებულია სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რიგი სასწავლო კურსების სილაბუსების გადახედვა ლიტერატურის განახლებისა და ნორმატიული მასალის კონკრეტიზაციის მიზნით;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში. აცნობიერებს რა "სწავლა სიცოცხლის მანძილზე" აუცილებლობის სტრატეგიას და ამ სტრატეგიაში სტუდენტთა ჩართვის აუცილებლობის მნიშვნელობას და სტუდენტთა ჩართვის აუცილებლობას განათლების მართვაში, მიზნად ისახავს, უზრუნველყოს სტუდენტთა მონაწილეობა სასწავლო თუ სამეცნიერო პროცესში, საზოგადეობრივ საქმიანობაში და სხვა. სამართლის საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს სასწავლო პრაქტიკულ კურსებს სავალდებულო კომპონენტის სახით, თუმცა პარალელურად მიმდინარეობს სტაჟირების პროექტებში ჩართვა პარტნიორ საჯარო დაწესებულებებთან და კერძო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მემორანდუმის შესაბამისად. უსდ-ს გაფორმებული აქვს მემორანდუმები/ხელშეკრულებები დამსაქმებელთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან, თუმცა აღნიშნული დოკუმენტები არის ზოგადი

ხასიათის ურთიერთ თანამშრომლობის ჩარჩო და არ უთითებენ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას, ასევე, პრაქტიკის მიზანს/მიმართულებას და ხანგრძლივობას. მიუხედავად იმისა რომ პროგრამა არ ითვალისწინებს ე.წ „გარე პრაქტიკას“ რომელიც გულისხმობს განსახორციელებლად რელევანტური პარტნიორი ორგანიზაციებისა და პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პირობების განისაზღვრას ურთიერთ თანამშრომლობის დოკუმენტით, რომელიც დეტალურად აღწერდა მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, მათ შორის, სტუდენტების სავარაუდო რაოდენობას, პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას და ა.შ.

ექსპერტთა ჯგუფი მივიდა დასკვნამდე, რომ აკრედიტაციის სტანდარტებისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებლის სულისკვეთების გათვალისწინებით სასურველი იქნება ისეთი მემორანდუმების და შეთანმხებების გაფორმება/განახლება, რომელიც გაითვალისწინებს სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას, მიმართულებებსა და დასაქმების სავარაუდო ხანგძლივობას.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და გაწერილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად და უზრუნველყოფს სტუდენტის მომზადებას პრაქტიკული საქმიანობის დასაწყებად.

სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისიწინებულია პრაქტიკული კუსები და სამართლებრივი ეთიკა. აღნიშნული სასწავლო კურსები სტუდენტს ეხმარება მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკასთან დაკავშირებაში და პრაქტიკული უნარების განვითარების გზით უკეთ მომზადებში მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედაგად გამოიკვეთა, რომ აქტიურად მიმდინარეობს საჯარო ლექციები, სემინარი, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში და საერთაშორისო პროექტებში ჩართვა, „საერთაშორისო სისხლის სამართლის იმიტირებულ პროცესში“ მონაწილეობა, რომელიც ტარდება ჰააგაში (ნიდერლანდები), გაეროს უმაღლესი კომისრის, წითელი ჯვრის და ლიუბლიანის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის ინიციატივით ჩატარებულ პროექტებში „ევროპის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ლტოლვილთა საერთაშორისო სასამართლოს ფარგლებში ჩატარებულ იმიტირებულ პროცესებში“ სტუდენტთა აქტიური მონაწილეობა და სხვა.

უნივერსიტეტში შექმნილია სტუდენტთა პრაქტიკისა და კარიერის მართვის სამსახური, რომელიც სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ, როგორც პარტნიორ ორგანიზაციებში, ისე ბაზარზე არსებულ სხვა ორგანიზაციებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები
- მემორანდუმები და ხელშეკრულებები
- იმიტირებულ პროცესებში და კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- საჯარო ლექციების, სტიპენდიების და სხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია
- თვითშეფასება
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველი იქნება დამსაქმებლებთან ისეთი მემორანდუმების და შეთანმხებების გაფორმება/განახლება, რომელიც გაითვალისწინებს სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას, მიმართულებებსა და დასაქმების სავარაუდო ხანგძლივობას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, სასწავლო კურსის მიზნებს და შინაარს სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება მრავალფეროვანი სწავლის მეთოდები, რომელიც ძირითადად განისაზღვრება სასწავლო კურსის მიზნის და სავარაუდო შედეგების შესაბამისად. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება ისეთი მეთოდები როგორიცაა: ლექცია, სემინარი, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, ელექტრონული სწავლება, ელექტრონული რესურსებით სწავლება და სხვ. სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეეძლება სტუდენტს. შესაბამისად, სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უნდა უწყობს არა მხოლოდ კონკრეტული მასალის ათვისებას, არამედ ზოგადი/დარგობრივი უნარების განვითარებასაც.

სამართლის დარგობრივი მახასიათებლების, საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსის სილაბუსების შინაარსის, სწავლება-სწავლის მეთოდების, თემატიკის აქტივობებისა და მეთოდების შედარების შედეგად ვლინდება, რომ გამოყენებულია ცოდნის და უნარების უზრუნველმყოფელი შესაბამისი მეთოდები. სასწავლო პროცესში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები მიმართული უნდა იყოს სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიური მონაწილეობის სტიმულირებაზე, სტუდენტთა ინტერესებისა და მოთხოვნილებების მაქსიმალურად გათვალისწინებაზე, სტუდენტის მიერ არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევაზე. თუმცა ზოგ სილაბუსში არ არის დაცულია სასწავლო კურსის თავისებურებები/სპეციფიკა, პრაქტიკული ხასიათი, ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები არ შეესაბამება კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და ვერ უზრუნველყოფს მათ მიღწევას. მაგ: სამოქალაქო საპროცესო დოკუმენტების შედგენა გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდი ღია კითხვა, ზეპირი გამოკითხვა ვერ უზრუნველყოფს სასწავლო კურსის მთავარ შედეგს დოკუმენტის შედგენას. ასევე მაგალითად, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სასწვლო კურსის -ერთ-ერთ შედეგად განსაზღვრულია ,,სტუდენტს შეუძლია ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებზე მუშაობა“, სადაც სასწავლო კურსის განხორციელების ფარგლებში არ ხდება ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის შედგენა და აქტის პროექტზე მუშაობის შეფასება. დაწესებულების ადმინისტრაციულ, დამხმარე და აკადემიურ პერსონალს აქვს გამოცდილება მოქნილად მიუსადაგონ ინდივიდუალური საჭიროების მქონე სტუდენტებს სწავლება-სწავლის მეთოდები, საჭიროებისას შეიმუშაონ და განახორციელონ სემესტრული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით, სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები; ▪ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: • რეკომედირებულია სწავლება-სწავლის მეთოდები რიგ სასწავლო კურსებში გადაიხედოს სასწავლო კურსის მიზნისა და შედეგის გათვალისწინებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად, სწავლებისას გამოიყენება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი ერთიანი შეფასების 100-ქულიანი მრავალკომპონენტიანი სისტემა (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N3 2007 წლის 5 იანვარის უმაღლესი საგანმანათლებლო პოგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ), უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების სისტემა დამტკიცებულიააკადემიური საბჭოს მიერ, ასახულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში.

უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში უნდა მოიცავდეს შუალედურ და დასკვნით შეფასებას. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) 60 ქულა განკუთვნილია შუალედური შეფასებებისათვის, ხოლო 40 ქულა - დასკვნითი შეფასებისათვის. შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით.

შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელსაც ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი ან ავტორები საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმების საფუძველზე. შუალედური შეფასებების აუცილებელი კომპონენტია წერითი შეფასება, რომელიც განისაზღვრება არა ნაკლებ 20 ქულიანი წერითი კომპონენტით. შუალედური შეფასებების ჯამური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა იყოს 11 ქულაზე ნაკლები. დასკვნითი გამოცდის/შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა იყოს დასკვნითი გამოცდის/შეფასების 45% -ზე ნაკლები (18 ქულა) და არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს (24 ქულა). კომბინირებული დასკვნითი გამოცდის შემთხვევაში ზეპირი კომპონენტი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 50%-ს. ამ შემთხვევაში გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება თუ სტუდენტი მიიღებს შეფასების თითოეულ ფორმაში (წერითი /ზეპირი) დადგენილ ქულათა არანაკლებ 50%-ს; საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა. შეფასების სისტემაში ქულები გადანაწილებულია და განსაზღვრულია კანონმდებლობის შესაბამისად:

• ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
• ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
• კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
• დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
• საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
• (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
• ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი გამოცდების წერითი კომპონენტის ჩატარებას უზრუნველყოფს ერთიანი საგამოცდო ცენტრი, რომლის დებულებითაც განსაზღვრულია გასაჩივრების სისტემა, რაც ითვალისწინებს საპრეტენზიო კომისიების შექმნას სტუდენტთა მოთხოვნების შესაბამისად.

დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, თითოეული სასწავლო კურსი მისი შეფასების მეთოდები, ასევე შეფასების კრიტერიუმები და სასწავლო კურსის სწავლის შედეგები მხოლოდ ურთიერთშესაბამისობის გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს. შეფასების თითოეული კრიტერიუმი კი დეტალურად და მკაფიოდ უნდა იყოს გაწერილი სასწავლო კურსის განმახორციელებლის მიერ, მის მიერ შერჩეული თითოეული კრიტერიუმის საზომის გამოყენებით. ამასთან, თითოეული კრიტერიუმისათვის განკუთვნილი უნდა იყოს კონკრეტული ქულა. მნიშვნელოვანია, რომ კრიტერიუმები იყოს გაწერილი დეტალურად და გამჭირვალედ, რათა სტუდენტს შეეძლოს განჭვრეტა რა კრიტერიუმს რა შეფასების საზომი აქვს. ისეთ სილაბუსებში, სადაც კონკრეტული აქტივობის შეფასება ხდება 10-9, 8-7, 4-3 და ა.შ. სრულყოფილად ვერ აკმაყოფილებს განჭვრეტადობის კრიტერიუმს.

აქვე უნდა აღინიშნო, რომ ზოგადად სტუდენტების შეფასება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, სილაბუსებში ასახული შეფასების მეთოდები რიგ შემთხვევაში გაწერილია მკაფიოდ და გამოყენებულია ადეკვატური კრიტერიუმები.

სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დებულებაში აღნიშნულია გამოცდების შეფასების გასაჩივრების წესი, რომლის თანახმადაც კომისიური წესით ჩასატარებელი გამოცდისთვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რექტორის ბრძანებით იქმნება საგამოცდო და საპრეტენზიო კომისია. საგამოცდო კომისია ვალდებულია, დებულებით განსაზღვრულ ვადაში, გაასწოროს და დაუბრუნოს საგამოცდო ცენტრს მისთვის გადაცემული დაშიფრული საგამოცდო ნაშრომები. თუმცა აღსანიშნავია, რომ მარეგულირებელი აქტები ეხება მხოლოდ საგამოცდო ნაწერის შეფასებას და არ არეგულირებს სტუდენტის შეფასებას სხვადასხვა აქტივობებში. ასევე ინტერვიურებიდან ირკვევა, რომ სტუდენტები არ არიან ინფორმირებული გასაჩივრების წესის და პროცედურის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ - ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

რეკომენდირებულია უსდ-მ დანერგოს სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების მოქნილი მექანიზმი, მოახდინოს აღნიშნული მექანიზმის სასწავლო პროცესში ინტეგრირება და აღნიშნულის შესახებ სტუდენტთა ინფორმირება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურად გაიწეროს შეფასების ზუსტი და მკაფიო კრიტერიუმები ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტები სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე ინფორმაციას იღებენ ელექტრონული ბაზიდან studlab, ასევე ეს ინფორმაცია მათ მიეწოდებათ უნივერსიტეტის მიერ შექმნილ ელექტრონულ ფოსტაზე. აკადემიურ მიღწევების გაუმჯობაზე ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფენ ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელები. ინფორმაცია კონსულტაციის უფლებით სარგებლობის შესახებ განთავსებულია საჯაროდ დაფაზე, საკონსულტაციო ცხრილს ფაკულტეტის ადმიანიტრაცია ადგენს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სტუდენტები აღნიშნავენ მათ უშუალო დამოკიდებულებას ლექტორებთან და საკონსულტაციი საათების მიღმაც აქვთ შესაძლებლობა ესაუბრონ ლექტორს მათთვის საინტერესო საკითხზე/პრობლემაზე, საკონსულტაციო საათებით სარგებლობის შესახებ ინფორმაცია სილაბუსებშია ასახული. სამართლის პროგრამა განთავსებულია ვებ-გვერდზე და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის საჯაროა. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა პრაქტიკისა და კარიერის მართვის სამსახური, რაც ხელს უწყობს სტუდენტების დასაქმებას. უნივერსიტეტის მიერ გაფორმებული მემორანდუმები უზრუნველყოფს სტუდენტების სტაჟირებას, დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროს მათ აღნიშეს, რომ რამდენიმე სტუდენტი და კურსდამთავრებული დაასაქმეს სტაჟრების შემდეგ და სტაჟირების გარეშეც, რაც უნივერსიტეტის შუამდგომლობით განხორციელდა. უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების სახით, სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია თანამედროვე, კომპიუტერული სისტემით აღჭურვილი სამუშაო ოთახები, საბიბლიოთეკო სივრცეები, საჯარო შეხვედრისთვის განკუთვნილი სივრცეებით, უნივერსიტეტს გააჩნია კრიმინალისტიკის ლაბორატორია, რომელიც სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს თეორიულ ცოდნასთან ერთად მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება, რაც მათ ხელს უწყობს იურისტის პროფესიისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში. მაგრამ მნიშვნელოვანია, სტუდენტებს ელექტრონულად ჰქონდეთ წვდომა ძირითად ლიტერატურაშია მითითებულ ნაშრომებთან თუ ნორმატიულ მასალასთან. დაწესებულება ახორციელებს სტუდენტების წახალისებას, მათ დაფინანსება/თანადაფინანსებას საერთაშორისო კონფერენციებსა გაცვლით პროგრამებსა თუ სხვა ტიპის აკადემიურ აქტივობებში. სტუდენტები მონაწილეობენ როგორც საუნივერსიტეტო, ასევე საქართველოს მასშტაბით გამართულ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, საერთაშორისო იმიტირებულ სასამართლო პროცესებში.

სტუდენტური აქტივობების შედეგად მათ მონაწილეობა მიიღეს ჰააგაში იმიტირებულ პროცესში, ნაწილმა ისარგებლა გაცვლითი პროგრამის პოლონეთში, ლოძის უნივერსიტეტში. სტუდენეტბი ასევე აღნიშნავენ, რომ მათ ინფორმაცია ყველას თანაბრად მიეწოდებათ ელეტრონულ ფოსტაზე, მოკლეტექსტური შეტყობინებებით და იტვირთება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ინფორომაცია სპორტული და კულტურული აქტივობების შესახებ განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე, სოციალურ ქსელში არსებულ გვერდებზე. ფუნქცონირებს იურისტთა კლუბი ,,დე ფაქტო", რომელიც სხვადასხვა ინიციატივების მხარდაჭრას და განხორციელებას ემსახურება. ყოველწლიურად იმართება საჯარო ლექციები და დისკუსიები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უნივერსიტეტის ვეგვერდი https://www.sou.edu.ge • ფაკულტეტის დებულება • უნივერსიტეტის წესდება • ინტერვიუები სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან • აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა • სასწავლო კურების სილაბუსები • სტუდენტთა პრაქტიკისა და კარიერის მართვის სამსახურის დებულება • საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია სტუდენტებს ელექტრონულად ჰქონდეთ წვდომა ლიტერატურასა და ნორმატიულ მასალებზე;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში, ჩართული არიან როგორც აკადემიური პერსონალი, ისე მოწვეული ლექტორები, რომლებიც პრაქტიკულ საქმიანობასაც ახორციელებენ, ვინაიდან თეორიისა და პრაქტიკის სინთეზის საუკეთესო შედეგებს იძლევა. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სამართალის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 4 პროფესორი, 11 ასოცირებული პროფესორი, 1 - ასისტენტ-პროფესორი, 3 ასისტენტი და 22 მოწვეული პერსონალი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობა არის 41. სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე ირიცხება 445 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის - სტუდენტების რაოდენობასთან თანაფარდობა არის დაახლოებით 0,09; აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით არის 0,03. აღნიშნული მონაცემები საბაკალავრო საფეხურისათვის საშუალო მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს. შესაბამისად, ეს თანაფარდობა საკმარისია პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად. აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტში სამართლის საბაკალავრო პროგრამაში ჩართული აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის ხელმძღვანელებს აქვთ კვალიფიციური ცოდნა და გამოცდილება, რათა გაუძღვნენ დასახული მიზნებისა და შედეგების განხორციელებას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა საკმარისია და ფარავს სამართლის საბაკალავრო პროგრამის გასახორციელებლად საჭირო მოთხოვნებს. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი მეტწილად დაკომპლექტებულიად დოქტორის ან დოქტორთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებით. აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფისათვის წარმოდგენილი ბიოგრაფიებით ირკვევა, რომ აკადემიური პერსონალის წარმომადგენლების ნაწილი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სამეცნიერო თვალსაზრისით არ არის აქტიური. შესაბამისად, მათი აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია არ დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით და/ან პრაქტიკული პროექტით, რომელიც ადასტურებს შესაბამის სფეროში მათ კომპეტენტურობას;
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების პირადი საქმეები; ▪ თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები: ▪ რეკომედნირებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შემადგენლობის განახლება, რომელთა კვალიფიკაციაც დადასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის ქონით;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: უნივერსიტეტში დანერგილია და ნაწილობრივ მუშაობს აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების, თვითშფასების და განვითარების სქემა, რომელიც ერთი მხრივ ხდება სტუდენტის მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასებას, ასევე თავად აკადემიური/მოწვეული პერსონალის თვითშეფასება. ამასთანავე, ხორციელდება სასწავლო პროცესზე დაკვირვება და ანალიზის საფუძველზე ისახება გაუმჯობესების გზები, არსებობის შემთხვევაში. შესაბამისად, შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის.
აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება უნდა მოიცავდეს როგორც მათი სასწავლო ასევე კვლევითი საქმიანობის შეფასებას. თუმცა კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასება და ანალიზი ხდება ფრაგმენტალურად და არათანმიმდევრულად.
უნივერსიტეტის სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმი (დამტკიცებულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილება #05/01 – 20, 20.04.2012) მოიცავს სამეცნიერო მუშაობის შეფასების სისტემას, რომლითაც უნდა ფასდებოდეს აკადემიური პერსონალის კვლევითი კომპეტენციები (პუბლიკაციები, მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში - იგულისხმება მოხსენების წარდგენა და არა უბრალო დასწრება; წევრობა და აქტიური საქმიანობა პროფესიულ ორგანიზაციებში; კვლევისათვის მოზიდული თანხების რაოდენობა - იგულისხმება გრანტებისა თუ პირდაპირი დაკვეთების სახით სამეცნიერო პროექტების განხორციელებისათვის ადგილობრივი თუ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან მიღებული თანხები. მნიშვნელოვანია კოლაბორაციული პროექტების გათვალისწინება - ანუ გრანტი მიღებულია სხვა სამუშაო ჯგუფთან ერთად თუ არა. დარგობრივი კომისიების წევრობა და ა.შ) რომელიც პრაქტიკაში თითქმის არ ხორციელდება; მაგალითად, აკადემიური პერსონალის ნაწილს ბოლო წლების განმავლობაში არ აქვს შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (მონოგრაფია, სახელმძღვანელო, რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი და სხვა).

გასაუბრების შედეგად დადგინდა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროექტებში, კვლევებსა და სხვაგვარ აქტივობებში ჩართულობის სიმწირე. უსდ-ს მხარდაჭერით ხორციელდება სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნების სრული ან ნაწილობრივი ფინანსური მხარდაჭერა. აღნიშნული აქტივობის გარდა, პერსონალის მხრიდან ვერ იქნა დასახელებული მათი სხვაგვარი წახალისება (მათ შორის აკადემიური შვებულება, სამეცნიერო გრანტი, გაცვლითი პროგრამა, აკადემიური სტიპენდია), რომელიც მიმართული იქნებოდა აკადემიური პერსონალის წახალისებისა და სამეცნიერო საქმიანობის გაძლიერებისათვის უსდ-ს ფინანსური მხარდაჭერით. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულია სხვადასხვა ღონისძიებებში, რომელიც ემსახურება მათი პროფესიული და პედაგოგიური უნარების განვითარებას. უნივერსიტეტის ბიუჯეტის შესწავლისას იკვეთება, რომ ბიუჯეტში გათვალისწინებულია ისეთი ხარჯები, რომელიც მიმართულია უსდ-ს აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის ან/და მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობისათვის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უნივერსიტეტში შემუშავებულია აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმი. თუმცა უსდ სათანადო ხარისხით არ ახდენს სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის შეფასებას და ანალიზსს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ თვითშეფასების ანგარიში; ▪ პირადი საქმეები; ▪ ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის შეფასება და ანალიზის პრაქტიკაში განხორციელება. • გაძლიერდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობა და მხარდაჭერა სამეცნიერო, კვლევითი, პროფესიული განვითარების პროგრამებსა და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დადებითად ფასდება. აუდიტორიები, სასწავლო სივრცე, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული აუდიტორიები და ა.შ. აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა კომფორტულია მუშაობისა და კვლევისათვის. რესურსები კატალოგიზებულია და შესაძლებელია მათი მოძებნა. უნივერსიტეტი აღჭურვილია სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობისათვის განკუთვნილი აუდიტორიებით. უნივერსიტეტს აქვს საბიბლიოთეკო სივრცეები, საჯარო შეხვედრისთვის განკუთვნილი ლაბორატორიები, უნივერსიტეტს გააჩნია კრიმინალისტიკის ლაბორატორია.
ბიბლიოთეკა კომფორტულია მუშაობისთვის და კვლევისთვის. რესურსები კატალოგიზებულია და შესაძლებელია მათი ელექტრონულად მოძებნა. ბიბლიოთეკაში დაცულია სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის.
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ჩართულია საერთაშორისო საინფორმაციო და სამეცნიერო რესურსების ბაზებთან.
მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა გააქტიუროს (შეიძინოს) საკანონმდებლო მაცნეს ისეთი ვერსია, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტების უფრო ფართო რაოდენობას ისარგებლოს ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ისე სახლიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინფრასტრუქტურის ვირტუალური დათვალიერება;
- საერთაშორისო საინფორმაციო და სამეცნიერო რესრუსებთან წვდომა;
- უსდ-ს მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან (online);
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რეკომენდირებულია სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის როგორც პერსონალს, ასევე სტუდენტებს გააჩნდეთ საკანონმდებლო ბაზასთან უშუალო წვდომის შესაძლებლობა. უნივერსიტეტმა უნდა შეიძინოს „საკანონმდებლო მაცნე“- ს ის ვერსია ან ჩართოს ავტორიზებული მომხარებელების ის რაოდენობა, რაც საშუალებას მისცემს მომხმარებლებს დამოუკიდებლად და შეუფერხებლად ისარგებლონ ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ისე უნივერსიტეტის ფარგლებს გარედან.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო სასწავლო პროგრამას დამოუკიდებელი ბიუჯეტი არ გააჩნიათ. თუმცა, სამართლის საბაკალავრო პროგრამისთვის არსებობს შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერის წყაროები. პროგრამისთვის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები განხორციელებადია, ეკონომიკურად მიღწევადია. ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები მხარდაჭერილია უნივერსიტეტის მიერ და უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის შემოსავლებით. თუმცა ბიუჯეტი საჭიროებს რამდენიმე კომპონენტში ხარჯების გაზრდას, მაგალითად, უშუალოდ პროგრამისთვის გამოყოფილი რესურსის გაზრდა, საერთაშორისო მივლინების, სტუდენტთა

გაცვლითი პროგრამაში მონაწილეობის დაფინანსების, ღონისძიებების დაფინანსების ნაწილში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უსდ სკოლის ბიუჯეტი; • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • უშუალოდ პროგრამისთვის გამოყოფილი რესურსის გაზრდა საერთაშორისო მივლინების, სტუდენტთა გაცვლითი პროგრამაში მონაწილეობის დაფინანსების, ღონისძიებების დაფინანსების ნაწილში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა			√	

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის სტრუქტურიდან ირკვევა, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს როგორც მთლიანად უნივერსიტეტისთვის ასევე, ცალკეულ ფაკულტეტთათვის, მათ შორის უშუალოდ სამართლისა და დიპლომატიის ფაკულტეტისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (იხ. ხარისხის სამსახურის დებულება), რომლის მიზანია სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, ხარისხის სისტემატიური შეფასება მოქმედი პროგრამების განვითარებისა და დახვეწისათვის. ინტერვიუებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე" ციკლს. თუმცა უსდ-ს მიერ ნაწილობრივ იქნა წარმოდგენილი შიდა ხარისხის შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტები. კერძოდ, არ იქნა მოწოდებული შიდა ხარისხის მიერ განხორციელებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების შედეგები;

პროგრამის თვითშეფასებიდან ირკვევა, რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესი ითვალისწინებს აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობას, თუმცა, ინტერვიუირების დროს დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში ძალიან სუსტად არის ინტეგრირებული.

ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სისტემატურად მოწმდება და ფასდება როგორც საგანმანათლებლო პროგრამები (იხ. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა და კრიტერიუმები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის დასკვნები).

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს სტუდენტთა კონტიგენტის (მათ შორის ბაკალავრიატის) განსაზღვრისათვის ადრე არ გააჩნდა დაგეგმვის მექანიზმი. გათვალისწინებული იყო მხოლოდ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა და მის ფარგლებში ხდებოდა მისაღები კონტიგენტის ფორმირება ფაკულტეტების საბჭოების წარდგინების საფუძველზე, რაც შემდგომში მტკიცდებოდა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოზე. ამ ეტაპზე შემუშავებული და დამტკიცებულია სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს როგორც უნივერსიტეტის

რესურსებს, ასევე დადგენილ სათანადო ინდიკატორებსა და სამიზნე ნიშნულებს, კერძოდ: აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნის დინამიკას ბოლო წლების განმავლობაში, სტუდენტთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის მაჩვენებლებს, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელს და სხვა ფაქტორებს. აღნიშნული მეთოდოლოგია საშუალებას მისცემს უნივერსიტეტს თანდათან უზრუნველყოს სტუდენტთა ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრა, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსების ოპტიმიზაცია, რაც საბოლოო ჯამში თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას. ჩატარებული SWOT ანალიზის საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნებისა და რეკომენდაციების, გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით განხორციელდა პროგრამის მოდიფიცირება. პროგრამაში ჩართული პერსონალი პრაგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებს ხარისხის შეფასების შედეგებს. სასწავლო წლის დასაწყისში, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, ფაკულტეტის საბჭოსთან შეთანხმებით, ამზადებს საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების შესახებ წინადადებებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. მაგალითად, ინტერვიუების პროცესში, დამსაქმებლებმა, რომლებიც ხშირ შემთხვევაში წარმოადგენენ უნივერსიტეტის ლექტორებს, აღნიშნეს რომ მათი მოთხოვნა გამოიხატება ძირითადად იმაში რომ უნივერსიტეტს რჩევას აძლევენ მეტი პრაქტიკული საგნების დაგეგმვაში, რასაც უნივერსიტეტი მაქსიმალურად ითვალისწინებს. ასევე, უსდ-ს მიერ წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2019 წლის ანგარიშიდან ირკვევა, რომ პროგრამის შეფასების მიზნით სტუდენტთა ინტერვიუებიდან დადგინდა, რომ მნიშვნელოვანია შემდეგი ღონისძიებების გატარება: • სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა, სწავლისათვის უკეთესი გარემოს შექმნა; • სტუდენტთა მოტივაციის ამაღლება, საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავება; • უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება; • ონლაინ სტუდენტური ბაზის საბოლოოდ გამართვა-მოწესრიგება სტუდენტთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით; • საბიბლიოთეკო ფონდის მუდმივი შევსება; • სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართვა; სწავლების პროცესში პრაქტიკული კომპონენტების გაძლიერება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამამ განიცადა გარკვეული ცვლილებები, რომელიც აღწერილია უსდ-ს მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში. თვითშეფასების დოკუმენტისა და ხარისხის მექანიზმების აღმწერი დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად განხორციელებული ინტერვიუებიდან ჩანს, რომ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები პრაქტიკაში ფუნქციონირებს. დაინტერესებული მხარეების უკუკავშირით მიღებული ინფორმაცია გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • ხარისხის სამსახურის დებულება; • საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

- შიდა ექსპერტის დასკვნა;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა და კრიტერიუმები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის დასკვნები;
- კითხვარები;
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია შემუშავდეს აკადემიური პერსონალის შეფასების ეფექტური მექანიზმი და შესაბამისად განხორციელდეს შედეგების აანალიზი;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გარე ხარისხის შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტის ავტორიზაციის და პროგრამული აკრედიტაციის დროს. მოქმედმა პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 2012 წლის 11 დეკემბერს (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #768, 2012.11.12). საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმები ეფუძნება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებასა“ და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს პერიოდულად წარუდგენს თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაციას თვითშეფასების ანგარიშის სახით დადგენილი ვადებისა და ფორმების შესაბამისად. პროგრამაში ჩართული პერსონალი ითვალისწინებს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დროს ექსპერტების მიერ მიღებულ რეკომენდაციებს და სათანადო ცვლილებები შეაქვთ პროგრამაში. უსდ პროგრამის აკრედიტაციის მიზნით შეარჩევს საგანმანათლებლო პროგრამების გარე ექსპერტს (შემფასებელს). უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს სამართლის საბაკალავრო პროგრამის გარე ექსპერტის შეფასება; გარე შემფასებელი (ექსპერტი) არ არის შესაფასებელი პროგრამის წარმომადგენელი, არ არის დაინტერესებული მხარე, შეფასებისას იცავს ეთიკის ნორმებს, საჭიროების შემთხვევაში გააჩნია, როგორც ზოგადი ცოდნა, ისე შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები. უნივერსიტეტი გარე ექსპერტის მიერ გაკეთებულ დასკვნებს, შეფასების შედეგებს და რეკომენდაციებს იყენებს საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით. პროგრამის აკრედიტაციის დროს მიღებული რეკომენდაციები, უნივერსიტეტის მიერ პროგრამის ამოქმედებისთანავე იქნა გათვალისწინებული. უნივერსიტეტი ორიენტირებულია კანონმდებლობის შესაბამისად, სტანდარტების ცვლილებების მიხედვით სწრაფად მოახდინოს რეაგირება და მოიყვანოს პროგრამა სრულ შესაბამისობაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საბაკალავრო პროგრამის გარე ექსპერტის შეფასება;
- აკრედიტაციის ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის და განხორციელებული ვიზიტის საფუძველზე დადგინდა, რომ უსდ იყენებს ხარისხის შეფასების და გაუმჯობესების სხვადასხვა მექანიზმს. აკრედიტაციის ვიზიტისას გამოვლინდა, რომ უსდ ძირითადად ითვალისწინებს დაინტერესებული პირების უკუკავშირს როგორც პროგრამის, ასევე, საგნების დამუშავების პროცესში. პროგრამის მონიტორინგის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შიდა შეფასებებს. შიდა შეფასებებით ხარისხის სამსახური არკვევს, რამდენად შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები სტანდარტთან მიმართებაში, ადგენს საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას, პროგრამის დასახულ მიზნებთან და სწავლის შედეგებთან მიღწევადობას.

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით და გამოკითხვით, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებელის შედეგებით, სხვა პროგრამაზე გადასვლის და მოქმედ პროპგრამაზე გადმოსვლის მსურველთა რაოდენობით, კურსდამთავრებულთა დიპლომის საშუალო ქულის მაჩვენებელით, სტუდენტთა სპეციალობით და არასპეციალობით დასაქმების მაჩვენებელით.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამამ 2012 წელს გაიარა აკრედიტაცია, გამოთქმული იქნა რიგი შენიშვნები და რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებით შემუშავებული და მოდერნიზებული იქნა ახალი სამართლის საბაკალავრო პროგრამა, რომლის დეტალური ინფორმაცია ასახულია მთლიანად წარმოდგენილ პროგრამაში და თვითშეფასების ანგარიშში. ინტერვიუდან გაირკვა, რომ მონიტორინგის ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს სტუდენტთა მიერ ყოველი სემესტრის ბოლოს სასწავლო კურსების შეფასების კითხვარის შევსება, რომელთა გათვალისწინებაც ხდება შემდგომ პერიოდზე.

პროგრამის გაუმჯობესების მიზნით ჩატარებულ გამოკითხვაში ჩართული იქნა როგორც მაღალი, ისე დაბალი და საშუალო აკადემიური მოსწრების სტუდენტი. აღნიშნული გამოკითხვის (მონაწილეობა მიიღო 180 სტუდენტმა) ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ 80% კმაყოფილია პროგრამაში ჩაშლილი თეორიული საგნებით მიღებული ცოდნით. წარმოდგენილი სასწავლო კურსები უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების განვითარებას, სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, შეფასების სისტემა ფასდება დადებითად, სასწავლო კურსის შესწავლა ხდება თანამედროვე

მასალის გამოყენებით. სასწავლო პროგრამით შემოთავაზებული სასწავლო კურსის შინაარსი მოიცავს მთლიანად მთელ საგანს. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიიკაციას აფასებენ დადებითად. გუგლ ფორმის საშუალებით გამოიკითხა 110 სტუდენტი, გამოკითხულ სტუდენტებისგან მიღებული პასუხების ანალიზმა აჩვენა, რომ ისინი ძირითადად, დადებითად აფასებენ მოქმედ სამართლის საბაკალავრო პროგრამას. ახალი სამართლის საბაკალავრო პროგრამის შემუშავებისას იძლევიან წინადადებებს და რეკომენდაციებს, ყურადღება მიექცეს რიგი საკითხების გაუმჯობესება-გაფართოებსა და დახვეწას. კერძოდ, მეტი ყურადღება მიექცეს პრაქტიკულ სწავლებას და გაიზარდოს თეორიულ სწავლებასთან ერთად პრაქტიკული კომპონენტები, მოხდეს ლექციების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებისა და მეთოდების გამოყენებით ჩატარება. შრომის ბაზრის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით შემოღებული იქნას უფრო მეტი პრაქტიკული სწავლების კურსები. ზოგიერთ საგნებში შიცვალოს კრედიტთა მოცულობა, გაუმჯობესდეს ინფრასტრუქტურა და ტექნიკური რესურსები. დაიხვეწოს Stud Lab -ის მუშაობა და სტუდენტებისთვის საინტერესო სკითხებზე ინფორმაციების დროულად მიწოდების მექანიზმები. ბიბლიოთეკა სისტემატიურად უზრუნველყოფილ იქნას უახლესი ლიტერატურით და გაიზარდოს წიგნების რაოდენობა;

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საბაკალავრო პროგრამის შეფასების ფორმა და კრიტერიუმები (იხ. საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია), რომლის მიხედვითაც განხორციელდა პროგრამის შეფასება, როგორც გარე და შიდა ექსპერტების, ასევე უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის მიერ. პროგრამის გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, პროგრამა შეფასდა გარე ექსპერტის ბატონ ვახტანგ ზაალიშვილის მიერ (იხ. გარე ექსპერტის დასკვნა).

უსდ-ს მიერ დამსაქმებლებთან წარმოებული გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა მათი მოთხოვნა, კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის გაზრდის თვალსაზრისით, სასწავლო პროგრამაში აქცენტი მეტად გაკეთებულიყო პრაქტიკული ელემენტების ჩართულობაზე, ასევე სტაჟირებისა და პრაქტიკის ორგანიზაციებში გავლის გზით (იხ. დამსაქმებლის გამოკითხვის დოკუმენტი). ანალოგიური მოთხოვნა ჰქონდათ კურსდამთავრებულებს, მათთან წარმოებული გამოკითხვის შედეგების გაცნობისას - მეტი პრაქტიკული კომპონენტები, რათა შეძლონ თეორიული ცოდნის პრაქტიკული განვითარება (იხ. კურსდამთავრებულთა გამოკითხვის დოკუმენტი).

უნივერსიტეტის მიერ აკადემიურ პერსონალთან წარმოებული გამოკითხვის შედეგად ასევე გამოიკვეთა მათი მოთხოვნები: პროგრამაში უფრო მეტი პრაქტიკული კომპონენტების ჩართვა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მეტი ჩართულობა კვლევებში, მათ შორის საერთაშორისო მასშტაბით, კვლევების გაძლიერება აფხაზური და ოსური ეთნოსისა და ამ კონფლიქტების გენეზისის კვლევებისა და მათი გადაჭრის მიმართულებით (იხ. აკადემიური პერსონალის გამოკითხვის დოკუმენტი).

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის შინაარსისა და სასწავლო კურსებით ფორმირებული ბადის მონიტორინგის მიზნით, უნივერსიტეტის მიერ არ არის განხორციელებული წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შედარებითი ანალიზი უცხო ქვეყნების უნივერსიტეტების ანალოგიურ საგანმანათლებლო პროგრამებთან, რაც მნიშვნელოვანია პროგრამის განვითარების მიზნით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება

პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • ხარისხის სამსახურის დებულება; • საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია • შიდა ექსპერტის დასკვნა; • გარე ექსპერტის დასკვნა; • საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა და კრიტერიუმები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის დასკვნები; • დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა, აკადემიური პერსონალის კითხვარები; • სტუდენტთა გამოკითხვები; • აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოიყენება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
სამართლის საბაკალავრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 46

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა			√	
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ლევან მოსახლიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნინო მესხიშვილი

კოსტანტინე ებრალიძე



ქეთევან ცხადაძე